



შვიდ წლიანი სტრატეგიული გეგმა (2023-2030 წ.წ.)

I. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და სტრატეგიულ მიზნებს. სტრატეგია განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლა-ლიცეუმმა დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების და შიდა გარემოს SVOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს;

7(შვიდ) წლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტის შედგენისას გათვალისწინებული იქნა, როგორც წინარე გამოცდილება, ასევე, ახალი გამოწვევები. ინფორმაციის შეგროვების, საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებითა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით: ძირითად ამოცანად სკოლა-ლიცეუმი ისახავს მოსწავლეებს მისცეს ხარისხიანი, 21-ე საუკუნის შესაბამისი განათლება, მოამზადოს ისინი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, ხელი შეუწყოს საჭირო უნარ-ჩვევების, პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებას შესაბამისი კვალიფიციური კადრების მეშვეობით.

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სკოლა-ლიცეუმის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან საჭირო ინფორმაციის შეგროვებას. სკოლა-ლიცეუმის სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება ხდება შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით. ობიექტური ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია მოხდეს სკოლა-ლიცეუმის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა გარკვეული პერიოდულობით.

ინფორმაცია სკოლის შესახებ

კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს სკოლა-ლიცეუმი „სანთელი“ (შემდგომში-სკოლა) არის კერძო სამართ-ლის იურიდიული პირი, მდებარეობს ქ.თბილისში, სამგორის რაიონი გ.მუხაძის ქ.15-ში, რომელიც ფუნქციონირებს 1995 წლიდან და არის დიდი ტრადიციების მატარებელი. სკოლის კურსდამთავრებულები უმეტესად არიან წარმატებულები. ახორციელებს სახელმწიფო სტანდარტით დადგენილ სწავლებისა და აღზრდის საგანმანათლებლო საქმიანობას, უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. .

მისია

სკოლა-ლიცეუმი „სანთელი“-ს მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისწავლე-ახალგაზრდობის ინტელექტუალური მიღწევების მაქსიმალურ გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოში სასწავლო პროცესის წარმართვას. მოტივირებული თაობის აღზრდას ინოვაციური, ეფექტური მეთოდების დანერგვით, მოსწავლემ შეძლოს ქვეყნის სიყვარულის, ურთიერთ პატივისცემის ,ტრადიციებისა და ღირებულებების გააზრება.

ხედვა

სკოლა-ლიცეუმის ხედვა, არის მოკლე განაცხადი, რომელიც საზღვრავს სკოლის განვითარების 7 წლიან პერსპექტივას, იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი და დამოუკიდებელი პიროვნების ჩამოყალიბებაზე. წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებაში.

ღირებულებები

სამართლიანობა- სკოლა-ლიცეუმი აღიარებს სამართლიანობის პრინციპს და თავისი საქმიანობის წარმართვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

მონაწილეობითი მართვა-სკოლა-ლიცეუმში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღების და მომზადების პროცესში ჩართვის უფლება აქვს ყველა მსურველს, რომელზეც აისახება ეს გადაწყვეტილება;

ურთიერთთანამშრომლობა და პასუხისმგებლობა- სკოლა-ლიცეუმის სასკოლო საზოგადოება იზიარებს ურთიერთ თანამშრომლობის პრინციპებს და პასუხისმგებელია თავის ქმედებებზე.

ეფექტურობა- სკოლა-ლიცეუმი ეფექტურად განკარგავს ფინანსურ,ადანიანურ და მატერიალურ რესურსებს. მაქსიმალური შედეგის მისაღწევად სკოლა იყენებს შეფასების და თვითშეფასების სისტემას და ორიენტირებულია შედეგზე;

უსაფრთხოება- სკოლა-ლიცეუმი უზრუნველყოფს ჯანსაღი სასწავლო და სამუშაო პირობებით უსაფრთხო გარემოს, სადაც ყველა აიცილავს ეთიკის ნორმებს და შინაგანაწესს.

„ სასწავლო აღზრდებლობითი პროცესის უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.

Mძიანე ბი

გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან. ისინი განსაზღვრავს იმ ზოგად უნარებსა და ღირებულებებს, რომელთა განვითარება-ჩამოყალიბებას ყველა საგანში შეძენილი ცოდნა უნდა ემსახურობდეს. სკოლა-ლიცეუმი შექმნის ისეთ საგანმანათლებლო სივრცეს,, რომელიც უზრუნველყოფს განათლებული, ინტელექტუალური, ზნეობრივად ჩამოყალიბებული და სოციალურად ადაფტირებული პიროვნების აღზრდას, რაც გულისხმობს:

- სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეზე ზრუნვასა და მხარდაჭერას;
- მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლებას;
- მყუდრო, სასიამოვნო და უსაფრთხო გარემოს შექმნას;
- ინგლისური ენის განსხვავებული სქემით სწავლებას დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა კლასში, რომელიც ემსახურება საქართველოს მისწრაფებას გახდეს ევროპის ოჯახის სწორუფლებიანი წევრი;
- სერთიფიცირებული პედაგოგებით დაკომპლექტებას;

მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფას.

SWOT - ანალიზი

იმისათვის, რომ სკოლამ მოახერხოს თავისი მისიის შესრულება და მოსწავლეებისათვის საუკეთესო საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება, აუცილებელია სწორად იქნეს დანახული სკოლის მიერ დასახული და შესრულებული სტრატეგიული გეგმის დადებითი და უარყოფითი, სუსტი და ძლიერი მხარეები. სისუსტეების გამოვლენა მიმართულია იმისკენ, რომ არსებული შესაძლებლობის ფარგლებში გადაიქცეს ძლიერ მხარეებად, ხოლო საფრთხეების წინასწარ შეფასება საშუალებას იძლევა, რომ სკოლა მზად დახვდეს სავარაუდო გამოწვევებს.

Strengths - ძლიერი მხარეები	Weaknesses - სუსტი მხარეები
1.თანამედროვე სტანდარტებს მორგებული უსასფრთხო, ეკოლოგიური გარემო; 2.მოტივირებული და სერტიფიცირებული მასწავლებლები; 3.საჭირო ინტერნეტ-რესურსი; 4. მცირერიცხოვანი კლასები; 5.კომფორტული და სასიამოვნო გარემო;. 6. სწავლის შედეგები; 7. თამანშრომელთა შორის კოლეგიალური	1.მშობელთა დაბალი ინტერესი სკოლის ცხოვრების შესახებ;- 2.დაფინანსების სიმწირე 4.საჯარო სკოლებისგან განსხვავებული მცირე ვაუჩერი 5..მასწავლებელთა სკეპტიკური განწყობა; (ტრენინგებში მონაწილეობის შეზღუდვა და მგზავრობის ღირებულების

დამოკიდებულება -გუნდური მუშაობა; 8.მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის მეგობრული ურთიერთობები; 9..შესაძლებლობების მიცემა დამწყები მასწავლებლებისთვის;	დაუფინანსებლობა) 6.. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინერტულობა;
Opportunities - შესაძლებლობები 1.მასწავლებელთა სრული აკადემიური თავისაუფლება 2. სხვა მსგავს სკოლებთან შედარებით დაბალი გადასახადი 3.საინფორმაციო შეხვედრების გამართვა და მშობელთა მოწვევა პროექტების პრეზენტაციებზე, მათი ჩართვა სასწავლო პროექტებში; 4.მოსწავლეებში პროფორიენტაციის უნარების ჩამოყალიბება და განვითარება; 5 მასწავლებელთა საჭიროების მიხედვით მე-3 თაობის ე.ს.გ-იდან შესაბამისი ტრენინგ-კურსების დაგეგმვა და ჩატარება. 6.პროექტებსა და კვლევებზე მუშაობა	Threats - საფრთხეები 1.საგანმანათლებლო საქმიანობის სრულდმოპოვება -(სკოლა დგას მონიტორინგის წინაშე) 2.მოსწავლეთა კონტიგენტის სიმცირე, გამოწვეული ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობით 3.მშობლების მხრიდან სკოლის განვითარების საქმიანობე- ბზე გულგრილი დამოკიდებულება/დროის დეფიციტი; 4. საჯარო სკოლასთან ახლო მდებარეობა---კვალიფიციური სტატუსის მქონე პედაგოგების გადაბირება. 5. მოსწავლეების მიერ პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ დაყენებული საქმიანობების ხარისხი

II. დაგეგმვის მეთოდოლოგია

შვიდ წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით, დირექტორის ბრძანებით შეიქმნა „სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი“, რომელიც მონიტორინგს გაუწევს სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას და მის გადახედვას ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე ორი კვირით ადრე.. სტრატეგიული განვითარების გეგმა უზრუნველყოფს სკოლის თითოეული თანამშრომლის ინფორმირებულობას, მის წინაშე მდგარი მიზნების ფარგლებში გადანაწილებული პასუხისმგებლობების შესახებ. აჩვენებს სასკოლო საზოგადოებას და დაინტერესებულ მხარეებს, თუ რისკენ ისწრაფვის სკოლა-ლიცეუმი.

კვლევის მიზანი:

ა). კვლევის მთავარი მიზანია, განისაზღვროს სკოლა-ლიცეუმის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, რის საფუძველზეც შემუშავდება რეკომენდაციები, დაიგეგმება აქტივობები.

ბ). კვლევაში მონაწილეთა დახმარებით, სასწავლო პროცესში არსებული სირთულეების აღმოჩენა, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და მისწარაფებების გაგება.

გ). სკოლის სხვა-დასხვა სტრუქტურული ელემენტის მუშაობის ეფექტურობის გამოვლენა, ხელოსანების შეუწყობს პრობლემების იდენტიფიცირებას და სასწავლო წლის პერიოდში სასწავლო გეგმის გაუმჯობესებას.

კვლევის პირველ ეტაპზე მომზადდა კითხვარები სამი მიმართულებით: მშობლები/კანონიერი წარმომადგენელი, სკოლის პერსონალი/ მასწავლებლები და მოსწავლეები. კითხვარები შემუშავდა სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის მიერ.

კვლევის მეორე ეტაპი - გამოკითხვა განხორციელდა სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის პროექტის „ფილოსოფიის შემუშავების (მისია, ხედვა, ღირებულებები) სტრატეგიული (7 წლიანი სამოქმედო) და 1 წლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრები (შეხვედრის ოქმები და კითხვარები თან ერთვის სკოლის ფილოსოფიას)

მესამე ეტაპი-გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

მშობელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი

მშობელთა გამოკითხვამ გვაჩვენა რომ, სკოლა-ლიცეუმის მისია, ხედვა და ღირებულებები მოიცავს ისეთ თემებს, რომელიც განსაზღვრულია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში როგორცაა, მოსწავლის ინტელექტის განვითარება, ტრადიციებისა და ღირებულებების გააზრება, მოტივირებული თაობის აღზრდა, რომელიც მათი შვილების წარმატების საწინდარია, და შეაფასდა დადებითად. აღნიშნეს, რომ სკოლას გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად გააჩნია ყველა რესურსი, რომელსაც ითვისებს სტრატეგიული და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმები, იმედოვნებენ, რომ სკოლა შეძლებს თანამედროვე ტექნოლოგიების დამოყენებით არაფორმალური განათლების გაძლიერებას მშობელებმა მზაობა გამოთქვეს სკოლის მხარდასაჭერად. .

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა დაახლოებით 70%-მა. მოსწავლეთა უმრავლესობა აღნიშნავს რომ, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები მათთვის შინაარსობრივად გასაგები და მისაღებია ეთანხმებიან და იცნობენ **ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**,. სურვილი გამოთქვეს სწავლის გაუმჯობესებაზე, მათი აზრით მასწავლებლები აფასებენ ობიექტურად,, ეძლევათ შემოქმედებითი უნარების გამოვლენისა და თავისუფალი აზროვნების საშუალება. მასწავლებლებში აფასებენ: მოსმენის უნარს, პოზიტიურ დამოკიდებულებას, მეგობრულ, კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას.

მასწავლებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი:

მასწავლებლები იცნობენ მე-3 თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელიც აგებულია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე, მონაწილეობა მიიღეს ავტორიზაციის გავლის პროცედურაში და მათი ჩართულობით სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფთან ერთად შეიმუშავდა **სკოლის ფილოსოფიის - მისია, ხედვა, ღირებულებების ; სკოლის სტრატეგიული დაგეგმვა და განვითარების პროექტი**, სადაც მათ გაცნობიერებული აქვთ სკოლის ინსტიტუციური განვითარება , თვალს ადევნებენ განათლების სისტემაში არსებულ სიახლეებს, რომელსაც საფუძველია გატარდეს რეფორმები, სასწავლო-სააღმწერდელით პროცესსა და სკოლის თანამედროვე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის მიზნით. ასევე აუცილებელია მოსწავლეთა კონტიგენტის გაზრდა სარეკლამო ინფორმირებით.

ამდენად, სკოლა-ლიცეუმის სასკოლო საზოგადოებაში შექმნილია თანამშრომლობითი და მეგობრული გარემო. დირექციის მხრიდან ხორციელდება მასწავლებელთა განვითარებაზე ზრუნვა და პერიოდული მონიტორინგი. როგორც მასწავლებლები აღნიშნავენ, სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის საჭიროა ინტერნეტის გაძლიერება, ისინი დადებითად აფასებენ დირექციის მხარდაჭერას. თვლიან რომ, სკოლა მათ გვერდში დგას ნებისმიერი საკითხის მოგვარებასა და გადაწყვეტაში. კვლევის შედეგების საფუძველზე, სკოლის დირექციამ შეძლო გამოველინა ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოიკვეთა ის შესაძლებლობები, რაც სკოლას გამოყენებული აქვს. და დაეხმარა რისკების შეფასებაში.

III. სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა

2023-2030 წ.წ]

სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს 2023-2030 წლებს და წარმოადგენს წინა 2017-2023 წლების სტრატეგიული გეგმის გაგრძელებას. ამ პერიოდში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები მატერიალური ბაზის სრულყოფის, სერთიფიცირებული, კვალიფიციური პედაგოგიური კადრების კონკურსის წესით შერჩევას და დაკომპლექტებას, სასწავლო მეთოდური პროგრამული მასალების შეძენა-შექმნის მიმართებით.

სამეწარმეო საქმიანობის შესწავლისა და პრაქტიკულად დაუფლების მიზნით IX-XI კლასის მოსწავლეებისთვის მოეწყო მიკრო სამეწარმეო სამშენებლო მოსაპირკეთებელი მასალების დამზადების შესწავლისთვის. მოსწავლეები ადგილზე ეუფლებიან ვაზის ვეგეტატიური გამრავლების, გასხვლისა და მწვანე ოპერაციების ჩატარების წესებს; მარადმწვანე წიწვოვანი მცენარეების (კვიპაროსი, ფიჭვი) ჩითილების გამოყვანის, გადარგვისა და მოვლის მეთოდებს.

გაფართოვდა სკოლის ტერიტორია, კანონიერ მფლობელობაში შეძენილი იქნა დამატებით 460 კვ.მ. მიწის ფართი, სადაც დაიგო ასფალტის საფარი, მოეწყო სპორტული მოედნები. შეივსო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი სხვადასხვა მეთოდური და მხატვრული ლიტერატურით. აღსანიშნავია, რომ, საყოველთაო პანდემიამ უარყოფითი გავლენა მოახდინა სკოლის ფინანსურ მდგომარეობის გაუარესებაზე, რამაც გამოიწვია მოსწავლეთა კონტიგენტის 30%-ით შემცირება .

სკოლა-ლიცეუმის მიერ განისაზღვრა ოთხი ძირითადი სტრატეგიული მიზანი, რომლის შესრულებისკენაც განაგრძნობს სვლას მომავალი შვიდი წლის (2023/24-2030/31 სასწავლო წელი) განმავლობაში:

- ☐ 1. ინსტიტუციური განვითარება;
- ☐ 2. ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის გაუმჯობესება;
- ☐ 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- 4. ადამიანური რესურსების გაუმჯობესება

თითოეული სტრატეგიული მიზანი თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად

				რესურსები	შესრულების პერიოდი
--	--	--	--	-----------	--------------------

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

სტრატეგიული მიზანი 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

1. სკოლის კეთილმოწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვა, შენარჩუნება
2. ინფრასტრუქტურის განვითარება, გაუმჯობესება;
3. საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსების განახლება/შეცვლა
4. ფინანსური მდგრადობა
5. უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს უზრუნველყოფა;

3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება	3.1. სკოლის კეთილმოწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვა, შენარჩუნება 3.2....უსაფრთხოებისა და საზღვარ-გარეშე წესრიგის დაცვის წესი და პირობები“-ს პროექტი -სსაქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმება	3.1.1.ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მოსწავლეთა შესაბამისად მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას 3.2. გაიგზავნა პროექტი 3.2.1.ეტაპობრივად, საჭიროებიდან გამომდინარე 3.2.2. გარე ეზოში დარგულია ბუჩქოვანი კიპარისები; შემოღობილი რკინის	დირექტორი, უსაფრთხოების მენეჯერი დირექციის მიერ წერილობითი მოთხოვნა თბილისის მერიისადმი													
---	---	--	---	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

[illegible]

[illegible]

[illegible]

		მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.													
--	--	---	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

IV. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები

სკოლა-ლიცეუმის სტრატეგიული განვითარების სამუშაო ჯგუფი ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შექმნის პროცესს, შესრულების მონიტორინგს, შესრულებული სამუშაოების შეფასებასა და საჭიროებისამებრ მათ კორექტირებას.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისგან;

1. ინფორმაციის ორგანიზება;
2. შესრულებული სამუშაოს შეფასება
3. უკუკავშირი და ანგარიშის მომზადება
4. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების კორექტირება

ეტაპი 1. ინფორმაციის ორგანიზება

სკოლა-ლიცეუმის მიერ დამტკიცებულ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში ასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების შესახებ ინფორმაცია გროვდება სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფთან.

ეტაპი 2. შესრულებული სამუშაოს შეფასება

მონიტორინგის ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს მიღებული ინფორმაციის განხილვას და შესრულებული სამუშაოს შეფასებას. სამუშაო ჯგუფის წევრები სწავლობენ ცვლილების საჭიროებას და ინიციატორს აწვდიან ინფორმაციას ინიცირების მიღების ან მიუღებლობის შესახებ შესაბამისი დასაბუთებით. ამასთან, ინიცირების მიღების შემთხვევაში, პროცესს წარმართავენ შემდეგი ეტაპების დაცვით:

- ა) ცვლილებების შეტანა წარმოდგენილ დოკუმენტებში და დირექტორისთვის მიწოდება;
- ბ) დირექტორის მიერ დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებების წარდგენა დამფუძნებლებთან შესათანხმებლად;
- გ) დოკუმენტების დამტკიცება (საჭიროების შემთხვევაში) და გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის და დაინტერესებული მხარეებისათვის.

სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შეაში და ბოლოს. ხოლო სამოქმედო გეგმის შეფასება წელიწადში ერთხელ, ყოველი სასწავლო წლის დასრულებისას. მონიტორინგის დროს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული თითოეული აქტივობის შესრულების შემოწმება ხდება შესაბამისი ინდიკატორით და მიენიჭება შესრულების შესაბამისი სტატუსი.

ეტაპი 3. უკუკავშირი და ანგარიშის მომზადება

სტრატეგიული განვითარების სამუშაო ჯგუფი სამუშაოს შეფასების შემდეგ შეიმუშავებს შესაბამის რჩევებსა და რეკომენდაციებს და განიხილავს მათ შესაბამის პასუხისმგებელ პირთან/სტრუქტურულ ერთეულთან.

ეტაპი 4. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების კორექტირება

წინა ეტაპების გავლის შემდეგ სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი გადაწყვეტს საჭიროა თუ არა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა.

- მონიტორინგის შედეგად თუ მოცემული სტრატეგიული ამოცანისა და აქტივობის შემთხვევაში ყველაფერი მიმდინარეობს გეგმის შესაბამისად, მიღწეულია დასახული სამიზნე ნიშნულები, მაშინ სტრატეგიული გეგმის შესრულება გაგრძელდება ისე, როგორც დაგეგმილი იყო.
- თუ მოცემული სტრატეგიული ამოცანისა და აქტივობის შემთხვევაში მიღწეული არ არის დასახული სამიზნე ნიშნულები, მაშინ ხდება მიზეზების დადგენა.
- თუ მისაღწევ ნიშნულებამდე ვერ მივდივართ იმის გამო, რომ გაწერილი სამოქმედო აქტივობები არ არის საკმარისი, მაშინ ხდება დამატებითი აქტივობების გენერირება, დაგეგმვა და, შესაბამისად, სამოქმედო გეგმის ცვლილება.
- თუ მისაღწევ ნიშნულებამდე ვერ მივდივართ იმიტომ, რომ შეიცვალა გარე და შიდა ფაქტორები ისე, რომ შეუძლებელია ამოცანის დასახულ ნიშნულამდე მიღწევა, ამ შემთხვევაში სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფს ცვლილებები შეაქვს სტრატეგიული განვითარების გეგმაში (მაგ. შესაძლოა მოხდეს სტრატეგიული ამოცანის მოდიფიცირება და სხვ.).

შემდგომ სამუშაო ჯგუფი ცვლილებების პროექტს წარუდგენს პედაგოგიურ საბჭოს და გეგმას განახლებულ სახით დაამტკიცებს სკოლა-ლიცეუმის დირექტორი. განსახორციელებელი აქტივობები გაგრძელდება მოდიფიცირებული გეგმის შესაბამისად.